ცნობის ფურცელი

№ 1949 ხუთშაბათი, 10 ოკტომბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1949

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

განცხადება

ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე

ამით აუწყებს ბ. ბ. ამომრჩეველთ, რომ 1902 წ. 13 ოქტომბრისათვის, დილის 10 საათზე, დანიშნულია **დამატებითი არჩევანები** ქალაქ ტფილისის საბჭოს ხმოსნებისა 1902—1906 წლებისათვის. ასარჩევია **მესამე საარჩევნო რაიონში** კიდევ ერთი ხმოსანი და არა ნაკლებ ექვსის კანდიდატისა; ხოლო ნაშუადღევის 5 საათზე იმავე დღეს ასარჩევია **მეორე საარჩევნო რაიონისათვის** არა ნაკლებ ორის კანდიდატისა. დამატებითი არჩევანები მოხდება საბჭოს დარბაზში. შესავალი ველიამინოვის ქუჩიდან. ამომრჩეველთ თან უნდა ჰქონდესთ შესასვლელი ბილეთები, რომლებით სარგებლობდნენ 26 და 29 სექტემბერს საარჩევნო კრებაზე შესასვლელად. ვისაც ეს შესასვლელი ბილეთები არა აქვს, შეუძლიან მიიღოს გამგეობის კანცელარიაში 13 ოქტომბრამდე. არჩევნების დღეს ყუთებს დაუდგმენ ყველა იმათ, ვინც უწინაც განაცხადა სურვილი ყუთის დადგმისა მე-2 და მე-3 საარჩევნო რაიონებში. ხოლო ვისაც მაშინ კენჭი არ უყრია, მათ კეთილ ინებონ და წერილობით განუცხადონ ქალაქის თავის მოადგილეს თავიანთი სურვილი. (3—1)

მთავრობის ნებართვით

სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა

ახალი მეთოთხმეტე აფთიაქი

პროვიზორის ნიკოლოზ ივანეს ძის

ბაზიეროვისა.

პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—2)

წარმოდგენა 4 ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს 1902 წ.

ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიული დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ორი პიესა

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. თავ. ზ. დადიანის მიერ.

II

კვალ-და-კვალ

კომ. 3 მოქმ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, ნ. ჩხეიძე, ჩერქეზიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ლ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კაპეიკიდან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეა 25 კ.-დან 35 კ.-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „უბედურ ვარსკვლავზე“ და სხვ.

რეჟისორი ვ. გუნია.

კავკ. საიუბ. გამოფენის დროს ოქროს მედლით დაჯილდოვებული ამხანაგობა

„შრომა“

ჰყიდის ხე-ხილის ხეებს თავისს სანერგეებიდან,

მსურველთ უნდა მიჰმართონ ლაგოდეხში კ. თ. აფრიკიანცს.

კატალოგები უსასყიდლოდ ეგზავნებათ მსურველთ. (26—13)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ბედიმანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ს. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. ბედიმანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

ა. ვ. ბარსუქოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამზარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 10 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე იხსნება ქალაქის ახალი **საავადმყოფო** 80 ავადმყოფისათვის. საავადმყოფოში მიიღებენ ყოველგვარ ავადმყოფს ქალსა და კაცს; მიიღებენ დიფტერიტით, ყვავილით, ქუნთრუშით და წითელათი ავადმყოფთ; სახადით ავადმყოფთ მხოლოდ მამაკაცთ მიიღებენ. ავადმყოფის შენახვა უფასოა. ავადმყოფს დღისითაც და ღამითაც მიიღებენ. ავადმყოფთა მნახველებს საავადმყოფოში მოსვლა შეეძლებათ კვირაობით, სამშაბათობითა და პარასკევობით ნაშუადღევის 2 საათიდან 4-მდე. ძუძუ-მწოვარა ბავშვებს მიიღებენ დედიანათ; ბავშვები 4 წლამდის მიიღებიან დედიანათ, თანახმად საავადმყოფოს ადმინისტრაციის ნებართვისა. თუ ბავშვი 4 წლისაზე მეტია, მას საავადმყოფოში დედიანათ აღარ მიიღებენ; ამ შემთხვევაში შეუძლიანთ ცალკე იქირაონ ბავშვისათვის განსაკუთრებული მომვლელი, რომლის შესანახად უნდა იხადონ დღეში 40 კაპ. გადამდებ სენით ავადმყოფთა საავადმყოფოში მოსაყვანად სადეზინფექციო კამერაში არის განსაკუთრებული ეტლი.

ტელეფონი № 172.

ავადმყოფის გადაყვანა უფასოა.

საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, ნოვო-ტროიცკის უბანში. (3—1)

ერთი საჭირ-ბოროტო საგანი

წარსულ თვეში გურიიდან იწერებოდნენ, რომ ფუთი სიმინდის ფასი ექვს აბაზამდის ავიდაო; 50-55-60 კაპეიკად იყიდებოდა ბათმანი სიმინდი აგვისტოს დამლევს და სექტემბრის პირველ რიცხვებში იმერეთში, ხონის ახლო-მახლო; ასე დიდი იყო სიმინდის ფასი ზემო იმერეთშიაც.

საყურადღებოა ეს მოვლენა. იგი არ შეუქმნია რაიმე განსაკუთრებულს, არა ჩვეულებრივს მიზეზს: არც გვალვას, არც სეტყვას, არც წვიმებს. მართალია, გურიაში ვერ იყო შარშან მაინცა და მაინც კაი მოსავლიანი წელიწადი, მაგრამ მარტო ამით არ აიხსნება სიმინდის სიძვირე; რაც შეეხება ზემო და ქვემო იმერეთს, მოსავალი აქ შარშან, შარშან-წინ და იქითაც ჩვეულებრივი იყო. იმერეთში სიმინდის სიძვირე და სიმშილობა რამდენიმე წელიწადია უკვე არსებობს, იგი გამოიწვია თან და-თან მიწის მფლობელობის იმ არა-ნორმალურმა ვითარებამ, რომელშიაც ჩავარდა იმერეთი და რომელიც კიდევ უფრო და უფრო გაძლიერდება, თუ არ შეიცვალა გარემოებანი.

წინად თავი მოგვწონდა ჩვენის გლეხის მდგომარეობით. გლეხი თუ არ იყო ყოვლად ბედნიერი და ყელამდის სავსე საჭმელ-სასმელით, ასე თუ ისე საყოფი საზრდო მაინც მოეპოვებოდა და არ იჩაგრებოდა, არ ეცემოდა გონებრივად და ზნეობრივად ისეთის სიმშილობით, როგორსაც ვხედავდით, მაგალითად, შიდა რუსეთში. იმერელს გლეხს ჰქონდა სიმინდი ან პური, კარგი ბოსტანი, ჰყავდა ძროხა, ქათმები, ღორები, იმერელი გლეხი მიირთმევდა ღვინოსაც.

მის გარეგნობას, ტანისამოსს რომ შეხედავდით, მაშინ ხომ საოცნებო სასიამოვნო სურათს წარმოიდგენდით წინ და გეგონათ, რომ ბედნიერება თუ იყო სადმე, იგი იყო იმერეთის გლეხთა შორის. არა გვგონია, რომ ნამდვილათ ასეთი ყოფილიყოს მაშინაც იმერელის გლეხის მდგომარეობა, მაგრამ რაც შეეხება ეხლანდელს ცხოვრებას, იმერეთი ბევრს სამწუხარო და სავალალო ფიქრებს იწვევს ადამიანში. სადაც-კი გაივლით სოფელში, ყველგან სიმშილობაა, პირდაპირ სიმშილობა! გლეხები ქუდ-მოგლეჯილი გარბიან სოფლიდან, მირბიან საითაც-კი თვალი გზას უჩვენებს. მირბიან შორს რუსეთში, კასპიის იქითა მხარეში, ციმბირში და ჩინეთის მანჯურიაშიც-კი. მარტო იმერელის ცხოველმყოფელობით და სიმარჯვით არ აიხსნება ეს. გლეხს პირ-დაპირ გაჭირვება აგდებს გარეთ. ნუ თუ იგი მაინცა და მაინც შეაჩერდება თავის კერას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მისი კერაა, როდესაც სახლში უბრალო მჭადი და ლობიო რა არის, იგიც არ მოეპოვება? ჩვენ პირადად ვიცით, გვინახავს ქვემო იმერეთში, რომ გლეხებს, რომელთაც ვერაფერს შემთხვევაში ვერ ვუწოდებთ (ჩვეულებრივ ენაზე) ლატაკების სახელს, არ მოეპოვებოდათ მჭადის ლუკმა და ჰყინტი სიმინდით და ხილით იკვებებოდნენ რამდენსამე დღეს. გვინახავს ისიც, რომ ზამთარში „იოლად წასასვლელად“ გამხმარი სიმინდი მოუხარშავთ და მოხარშული სიმინდი ყოფილა მათი სადილიც და ვახშამიც.

ხშირათ გამოუთქვამთ ის აზრი, რომ იმერეთი ეკონომიურად ძალიან ვითარდება. ეგ მართალია, მაგრამ მას თავისებური აზრი აქვს. განვითარდა ქალაქი, განვითარდა ვაჭრობა და მრეწველობა, სოფლიდან გამოვიდა და სოფელშიც გაჩნდა ბურჟუაზია, სოფლიდან ხალხი მიაწვა ქალაქს. მხოლოდ ამას იქით რომ არაფერი დავინახოთ, ეს ის იქნება, რომ სრულიად არაფერი დავინახოთ. სოფელში მოხდა დიფერენციაცია, დანაწილება გლეხებისა. თუ ერთი ნაწილი, ძლიერ მცირე ნაწილი წინ წავიდა და წინ წავიდა არა მიწის მუშაობით, არამედ ჩარჩობით და ვაჭრობა-მრეწველობით, მეორე კი, დიდი უმრავლესობა გლეხობისა, რომელიც მარტო მიწას შესჩერებია და სხვა არავითარი სალსარი არ მოეპოვება, დაეცა, უფრო და უფრო გაღატაკდა. პირველი თუ გაღონიერდა, მეორე დასუსტდა, თუ ერთი უფრო გაძღა, მეორე უფრო მშიერი შეიქნა.

იმერეთის სოფელს რომ გარედან უცქიროს ადამიანმა, ასე გეგონებათ, რომ რაღაც დიდი სტიქიური უბედურება უნდა ხდებოდეს შიგ—ან მიწა იქცევა ან შავი ჭირი მოდებია ყველასო, ისე მირბიან ყველანი ამ სოფლიდან. ისე ოჯახს ვერ ნახავთ, რომ არამც თუ ერთი, არამედ ორი და სამი წევრი არ იყოს სახლიდან „გადავარდნილი“. ვინც სახლში რჩება, იგი ულუფოდ ან საქირაოზე მუშაობს დღიურად ან სახლში აკეთებს რასმე გასაყიდად, რომ ორი კაკალი სიმინდი იყიდოს. ქალები მთელი დღე დილის 4—5 საათიდან საღამოს 8—9 საათამდის რთავენ და ქსოვენ ან შალებს ან წინდებს. მათთან ერთად მუშაობენ პატარა ბავშვები. ზამთარში რომ შეხედავთ, თუ როგორ შემოჯდომიან პატარა ქალები ცეცხლს გარშემო დახეულ ჩითის კაბებში, ფეხ-შიშველანი, როგორ ჩეჩავენ განუწყვეტლივ მთელი დღე, რომ შეხედავთ მათ დაღლილს თვალებს, არ იტყვით, რომ ფაბრიკა უარესიაო. ფაბრიკაში მშრომელი მაინც ხეირიანს ფასს ღებულობს თავის შრომისათვის, აქ კი მთელის დღის მუშაობით შეუძლიათ აიღონ მხოლოდ 6—8 კაპეიკი. სახლში თუ რამ ფრინველი ან საქონელი ეზრდებათ—იმიტომ, რომ გაყიდონ და გაყიდულის ფულით სიმინდი იყიდონ: კვერცხი, ქათამი, ღორი, ღვინოც (თუ ვისმე კიდევ მოსდის) ყველა, ყველაფერი ბაზარში მიდის.

რამ გამოიწვია ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა იმერეთში? რისთვის შეიქნა ასე მძიმე და მწარე ცხოვრება? უეჭველია, იმერეთს კარგა ხანია მოხვდა ევროპის შუქი და იგი დაადგა გაევროპიელების გზას. სადაც ვაჭრობა-მრეწველობა იკიდებს ფეხს, იქ ამის შედეგებიც იჩენს თავს. იმერეთი ვერ აცდებოდა იმ მწვავს კრიზისს, რომელიც სჩვევია განსაკუთრებით გარდამავალ ხანას....

არის საზოგადო მიზეზები, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია მარტო ამ საზოგადო პირობებით ავხსნათ იმერეთის გაჭირვება. იმერეთში არ არის საზრდო, არ არის საზრდო, რადგან არ მოდის საყოფი სიმინდი, სიმინდი ძვირია, ძვირია უმთავრესად იმიტომ, რომ არ მოიპოვება დასამუშავებელი მიწა. თავად-აზნაურობასაც არ მოეპოვება საზოგადოთ ძლიერ ბევრი მიწა იმერეთში... რაც შეეხება გლეხებს, შეგვიძლია თამამად ვსთქვათ, რომ იგი მთლად მოკლებულია მიწის საკუთრებას. განა შეიძლება მესაკუთრე ვუწოდოთ ჩვენში გლეხს, როდესაც მას ნახევარ ქცევაზე მეტი მიწა არ მოეპოვება? ბევრგან გლეხები სიამოვნებით აიღებდნენ იჯარით თავად-აზნაურობის ადგილებსაც, მაგრამ ასეთს ადგილებსაც ვერ შოულობენ საყოფად. გლეხები მიდიან 25—30 ვერსზე მიწის ასაღებად. წინად თუ ერთს თოხს დააჯერებდნენ ყანას, ეხლა ოთხჯერაც კი გათოხნიან ხოლმე, მაგრამ დიდი ბედნიერება და ამბავი იქნება, თუ უმრავლესობას იანვარ-თებერვლამდის ეყო საკუთარი სიმინდი. მერე? მერე კი ან ნახევრად სიმშილი ან მთლად სიმშილი.

ეს საგანი მოითხოვს, მეტი ყურადღება მივაქციოთ მას, ვიდრე დღემდის ვაქცევდით. მიწის სიცოტავე ისეთი დედა-საკითხია, რომლის გადაუწყვეტელად შეუძლებელია ჩვენის სოფლის მდგომარეობის მოწყობა. რაჭის სოფლებში იმდენად ფასობს მიწა, რამდენად არ ფასობს ზოგიერთ დაბა-ქალაქებში. სიმინდის ფასი არამც თუ არ დაიკლებს, შესაძლებელია კიდეც მოიმატოს, თუ დღევანდელი პირობები არ შეიცვალა.

სწორედ სრულიად ინდიფერენტულად უნდა ვუყურებდეთ საზოგადო ინტერესებს, რომ როგორმე არ ვეცადოთ რაიმე წამალი დავსდვათ დღევანდელ იმერეთის გლეხობის შევიწროებას! რასაკვირველია, ყველა გლეხს სოფელში ვერ დავაბამთ, ვერ „მივალურსმავთ“ მიწას, როგორც ეს მოითხოვა ერთმა მემამულემ სამეურნეო საზოგადოებაში, ეს არც არის სასურველი, რადგან ქალაქსაც ესაჭიროება ძალები, მაგრამ ყველასაც ვერ გავრეკავთ ქალაქში. დღეს ჩვენს სოფელ შიდიდი „გადამეტებულობაა“ მცხორებთა (перенаселеніе), მიწა ძალიან ცოტაა, გლეხები გარბიან ქალაქად და ხშირად აუტანელ პირობებში ეწევიან შრომას (აიღეთ მაგალითად შავი-ზღვის პორტებში მომუშავენი, რომლებსაც ძლიერ მძიმე ტვირთები დააქვთ და რამდენისამე წლის შემდეგ დაქანცულნი და „მოტეხილნი“ ბრუნდებიან სახლში); მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი გლეხი შორდება „უბედურს“ სოფელს, სოფელ მაინც არ ყოფნის მიწა, ვინც რჩება სოფელში, ისიც ვერ გამაძღარა, სოფელში მაინც სიმშილობაა და ქალაქში ნაშოვნი ფულიც ვერ შველის მიწის სიცოტავეს...

როგორ უნდა ეშველოს ამას? ამის მარტივი და მასთან სწორი პასუხი ერთია: სოფლელებს, მიწის მუშებს უნდა მიეცეთ მიწა და მიწა! გლეხებს უნდა მიეცეს ადგილობრივ სახელმწიფო მიწები და გლეხები უნდა გადავასახლოთ სხვა ადგილებშიც თავისუფალ მიწებზე (შავის-ზღვის პირად).

დღეს ჩვენში საგუბერნიო კომიტეტებია შემდგარი სასოფლო-მეურნეობის გასაუმჯობესებლად. თუ ამ კომიტეტებს უნდათ რამ სერიოზული დახმარება აღმოუჩინონ ჩვენს სოფელს,—მიწა უნდა მისცენ გლეხს. თუ ამას არ მიაქციეს უმთავრესი ყურადღება, თუ ეს ვერ შესძლეს მათ, ისინი ვერაფერს ვერ გააკეთებენ, მათი შრომა და მოღვაწეობა უნაყოფო იქნება...

გბლამი

საზღვარ-გარედ

ავსტრ-ჰუნგრეთი. კერბერმა ჩეხურ და გერმანულ ენების უფლების შესახებ პროექტი შეადგინა და გერმანელ და ჩეხ-დეპუტატებს გადასცა განსახილველად. ავსტრიის პრესაში მხოლოდ პროექტის უმთავრესი ადგილებია გადმოცემული, მაგრამ ამ გადმოცემულიდანაც საკმაოდ ნათლად სჩანს, რომ ჩეხებს არ მოეწონებათ კერბერის პროექტი.

კერბერის პროექტი, რაღა თქმა უნდა, სრულებით არ შეეხება სილეზის, სადაც ჩეხები ძლიერ დაჩაგრულები არიან. შემდეგ პროექტში ბოჰემიისა და მარავიისათვის სულ სხვა-და-სხვა წესებია დაწესებული. კერბერის პროექტი, ეტყობა, სამართლიანობის პრინციპზე კი არა, უბრალო პრაქტიკულ მოსაზრებაზეა დამყარებული: რამდენიც ამა და ამ ოლქში ნაკლები უფლება მოუპოვებიათ ჩეხებს, იმდენი ნაკლები უფლებაც უნდა მიენიჭოსთო. ასე რომ ყველაზე მეტი უფლება ჩეხურ ენას ბოჰემიაში ეძლევა, სადაც ჩეხები სეიმში ბატონობენ და თვალსაჩინო სიმდიდრესა და სამრეწველო განვითარებას მიაღწიეს. მაგრამ ბოჰემიშიაც კი კერბერი გაცილებით ნაკლებ უფლებას აძლევს ჩეხებს, სანამ იმისი წინა-მოადგილე ბადენი და ტუნი აძლევდნენ. პროექტის ძალით ბოჰემია სამ რიგ ოლქებად ნაწილდება: გერმანული, ჩეხური და არეული ოლქები. ერთ ენაზე მოლაპარაკე ოლქად ის ოლქებია ცნობილი, სადაც უკანასკნელ, 1900 წლის აღწერით სხვა ენაზე მცხოვრებლების 20 პროცენტზე ნაკლები ლაპარაკობდა. ეს პროცენტი თავის თავად მეტად დიდია. ამას გარდა. ბევრი ორ ენაზე მოლაპარაკე ოლქიც ნამდვილად წმინდა გერმანულ ოლქებად იქნება ცნობილი, რადგანაც ავსტრიაში ეროვნების სტატისტიკას მეტად მიდგომით ადგენენ. ოლქების განაწილება პროექტის ძალით ყოველ ახალ აღწერის დაგვარად კი არა, მარტო 20 წლის განმავლობაში ერთხელ უნდა იცვლებოდეს (ავსტრიაში ხალხის აღწერა 10 წელიწადში ერთხელ მოხდება ხოლმე). ჩეხურ ენას ჩეხების წმინდა ოლქებშიაც კი ცოტა რამ უფლება ეძლევა. მარავია, სადაც გერმანელები უმეტეს ნაწილად სულ ქალაქებში ცხოვრობენ, სოფლის ოლქებში კი მომეტებულ ნაწილად სულ ჩეხები დგანან, პრინციპიალურად ორ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნად არის ცნობილი. კერბერი იმ აზრისაა, რომ იმისი პროექტის შეცვლაც შეიძლება; გერმანელები კი ეხლავე აცხადებენ, ჩეხებს მეტად დიდ უფლებას აძლევს კერბერიო.

საფრანგეთი. წარსულს სამშაბათს პარლამენტის სესია გაიხსნა. ამ ამბავს არც თუ მაგრე რიგად დიდის ინტერესით მიჰგებებია ხალხი. პალატა სავსე არც-კი ყოფილა ხალხით. მთავრობის მოწინააღმდეგენი დარწმუნდნენ, რომ მთავრობის მდგომარეობა სულაც არ შერყეულა ზაფხულის განმავლობაში; მიჰხვდნენ იმასაც, რომ საკონგრეგაციო სკოლების თაობაზე ლაპარაკიც-კი არაფერს გამარჯვებას არ შესძენდათ, ამიტომ პირველმა სხდომამ საკმაოდ უფერულად ჩაიარა.

სხდომის გახსნის უმალვე ფინანსთა მინისტრმა რუვიემ 1903 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა პალატას. მერე დეპუტატმა ბასლიმ წინადადება შეიტანა, მოხუცებულ მუშებისათვის საპენსიო კასა დავაწესოთო და მოითხოვა, ეს წინადადება დაუყოვნებლივ განიხილოს პალატამაო. პალატამაც დაადგინა, ბასლის წინადადება დაუყოვნებლივ გავარჩიოთო. ამის შემდეგ ნაციონალისტმა დეპუტატმა ბოდრი დასონმა წინადადება შეიტანა, მთავრობა სამართალში მივცეთ, რადგანაც საკონგრეგაციო სკოლების დახურვით პალატამ კანონი დაარღვიაო. ბოდრი დასონმაც მოითხოვა, ჩემი წინადადება დაუყოვნებლივ გაარჩიოს პალატამაო, მაგრამ მარტო 53 დეპუტატი მიემხრო ამ წინადადებას. შემდეგ პალატამ მოილაპარაკა, თუ რა წესით განვიხილოთ საკონგრეგაციო სკოლების დახურვის თაობაზე წარმოდგენილი მრავალი ინტერპელიაციაო და პირველ მინისტრ კომბის წინადადებით გადასწყვიტა, ყველა ინტერპელაცია საერთოდ და დაუყოვნებლივ განვიხილოთო. გაიმართა კამათი. პირველად სარწმუნოებათა მინისტრმა ენარმა ილაპარაკა. მინისტრმა დიდ-ხანს ილაპარაკა და მალეც დაღალა მსმენელები. უფრო მეტი ყურადღება მიიზიდა მემარჯვენეთა პარტიის მჭევრ-მეტყველ ორატორის გრაფ დე მენის სიტყვამ. მემარჯვენეთა პარტია ტაშის ცემით და მემარცხენეთა პარტია პროტესტით ხშირად ლაპარაკს აწყვეტინებდნენ ორატორს. გრაფ დემენმა გამოაცხადა, კლერიკალები-კი არა, თითონ პირველი მინისტრი არღვევს კანონსაო. მერე მთავრობას უსაყვედურა, წყნარ და უმწეო ბერ-მანაზონთა განსადევნად სამხედრო ძალა მოიხმარა, ჯარი პოლიტიკაში გარია და ჯარის კაცები განსაცდელში ჩააგდო და ორ წყალ შუა ჩააყენაო: ან სინიდისის წინააღმდეგ უნდა მოქცეულიყვნენ, ან არა და დისციპლინა დაერღვიათო.

შემდეგი კამათი ხუთშაბათამდე გადაიდვა.

ინგლისი. სამხრეთ-აფრიკიდან დაბრუნებული სათადარიგო ჯარის-კაცები თურმე დიდ გაჭირვებაში ჩაცვივნულან. ბევრი ამათგანი უსაქმოდ დადის ეხლა. 29 სექტემბერს უსაქმო ჯარის კაცებს ლონდონს ჰაიდპარკში კრება მოუხდენიათ და გადაუწყვეტიათ, როცა მეფე ქალაქში გამოივლის, არზა მივართვათ და გავაგებინოთ, თუ რა გაჭირვებაში ვართო. ამას გარდა დაუდგენიათ: ლონდონის ქუჩებში გავიაროთ ყველამ ერთად, რომ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ ჩვენ გაჭირვებასაო.

◆ წარსულ ორშაბათს ლონდონში კონსერვატიულ „ბრიმრაზ ლიგის“ დიდ საბჭოს კრება მოუხდენია. საბჭოს დაუდგენია, მთავრობას ვსთხოვოთ სასკოლო ბილი უსათუოდ დაამტკიცებინოს პარლამენტსაო. პოლკოვნიკ ბოულხს გამოუცხადებია, თუმცა მთავრობის ბილს ვემხრობი, მაინც ეს ბილი უნაკლულოდ არ მიმაჩნიაო. კანონ-პროექ-

ფელეტონი

განათლებულთა უმეცრება

წერილი ლონდონიდან

(დასასრული*)

ძალიან გამაოცა ამერიკელისა და დიასახლისის სიტყვებმა.

— ერთი რამ მაკვირვებს,—ვსთქვი ცოტაოდენ სიჩუმის შემდეგ:—რით აიხსნება ცნობილ კაცთა ცრუ-მორწმუნეობა? გამოჩენილი ქიმიკოსი კრუკსი ამ ბოლოს დროს სპირიტად გადაიქცა; ასეთივე ცვლილება ეტყობა არა ნაკლებად ცნობილს ქ-ნ ბეზანტს. ამ უკანასკნელსა სწამს, რომ ასისა და ათასის წლის წინად გარდაცვალებულთ ესაუბრება...

— ეგ საყურადღებო მოვლენაა,—მომიგო ხნიერმა კაცმა, რომელიც აქამდე ჩუმად იჯდა და საუბარს ყურს უგდებდა.—მე მგონია შემიძლიან ამის შესახებ ცოტა რამ საინტერესო გაუწყოთ.

„ქ-ნი ბეზანტი საბუნების-მეტყველო მეცნიერებაში ისეთივე უმეცარია, როგორიც სხვანი, ვითომდა განათლებულნი, არიან. დავსწრებივარ იმის ლექციებს თეოსოფიის შესახებ; ყოველთვის მაოცებდა და მაკვირვებდა ის ალტაცება, რომლითაც იგი აუდიტორიას აცნობდა რაღაც უმაღლესს სიბრძნეს. ეჭვს გარეშეა, რომ ბეზანტი ჭკვიანი და გამოჩენილი ქალია, ნიჭიერი ორატორი რადიკალთა და მუშათა კრებებისა, მაგრამ ბუნების-მეტყველებისა ისე არაფერი უწყის, როგორც მე ჩინურის ენისა. განა შეუძლიან ასეთ ადამიანს ბუნების მოვლენათა განმარტება? სამწუხაროდ, საზოგადოებამ, ბრბომ გარჩევა არ იცის: ერთ საქმეში სახელოვანი კაცი მეორეშიაც სახელოვანად და მცოდნედ მიაჩნია. ავიწყდება, რომ ყოველმხრივის ნიჭით თვით გენიოსთა შორისაც მხოლოდ ორიოდე კაცია დაჯილდოვებული. ისეთი კაცები, როგორც მიქელ ანჯელო *) და გიოტე, სამ-ოთხ საუკუნეში ერთხელა ჩნდებიან.

„სულ სხვაა შესანიშნავი ქიმიკოსი კრუკსი. სწორედ გაუგებარია, როგორ გამოსცა კრუკსმა თავისი წიგნი სპირიტიზმის შესახებ, რომელიც აჭრელებულია უხილავ სულების სურათებით... დიახ, გასაოცარია ეს მოვლენა. კრუკსი დიდად სინიდისიერი მეცნიერია; უპატიოსნობას ვერავინ შესწამებს; მაგრამ, მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ ეს კრუკსი უაზრობას ჰქადაგებს. მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ ეს უაზრობა, რომ კრუკსი შეცდომაში შეიყვანეს, იმისი ნდობა ბოროტად მოიხმარეს. საყურადღებოა აი კიდევ რა: კრუკსთან ერთად სპირიტებად გახდეს სხვა მეცნიერნიც რუსეთსა, საფრანგეთსა, ინგლისსა და იტალიაში. ყველგან მედიუმობას სწევდნენ ერთნი და იგივენი—იუმი და იმისი შეგირდები. მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ სწორედ ამავე დროს (მე-60 წლების მიწურული და მე-70 წლების დასაწყისი) პაპმ პიოს მეცხრემ გამოსცა ბულლა, რომლითაც დასწყევლა მეცნიერება, ხოლო ასომპციონისტთა იეზუიტების ორდენი შეუდგა მხნე და საიდუმლო ბრძოლას მეცნიერების წინააღმდეგ, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც იგი საშიშოდ შეიქმნა არა მარტო სწავლა-განათლებისა, არამედ თვით რესპუბლიკისათვისაც... როგორცა ჰხედავთ, მთელის ქვეყნის იეზუიტებმა შეთქმულება მოახდინეს მეცნიერების წინააღმდეგ. დიაღ, შეთქმულება, ღრმად დარწმუნებული ვარ ამას... წყვდიადის მოტრფიალეთ უპირველესს ყოვლისა მოისურვეს თვით მეცნიერთა მოქცევა, იმათი შეცდენა. ვერ გაბედეს გულადთა და მტკიცეთა მოტყუება; ახლო ვერ მიუდგნენ ვერც ჰეკსლის, ვერც ფოხტსა და ვერც ჰეკელს. არა, იეზუიტები განგებ წყნარ და მშვიდობიან ხასიათის მეცნიერებს არჩევდნენ...

— თქვენი ისტორია რაღაც რომანს წააგავს,—შენიშნა დიასახლისმა,—შეთქმულება მთელ დედამიწაზე, იეზუიტების ანაფორა, მედიუმების ოინბაზობა, მშვიდობიან მეცნიერთა მოტყუება...საუკეთესო მასალაა ისეთის რომანისათვის,როგორიც ევგენი სიუს „უკვდავი ურიაა“...

— დიახ, რაც გიამბეთ, დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილი კია. აი ფაქტიც, თუ გნებავთ.

„ამ ოცის წლის წინად, როდესაც ახალგაზდა ვიყავი, შემთხვევით დავესწარ ჟენევაში საჯარო ლექციას. კითხულობდა ლექციას დიდებული და მხცოვანი ფიზიოლოგოსი შიფი. ერთი ადგილი იმის ლექციისა ისე დამახსოვდა, რომ სიტყვა-სიტყვით შემიძლიან მოვიყვანო. — „მესამოცე წლების დამლევს, სთქვა შიფმა, ფიზიოლოგიის პროფესორად ვიყავ ფლორენციაში *). რაღაც მანქანებით ჩვენს წრეში—სტუდენტთა, პროფესორთა და იმათ ნაცნობთა ოჯახებში—თავიანთ საიდუმლო სეანსებით თავი შემოჰყვეს სპირიტებმა. სხვა ფოკუსებს შორის ყველაზედ მეტად ხალხს აკვირვებდა უხილავ სულების გარკვეული კაკუნი სტოლ ქვეშ. ყოველთვის, როდესაც ჰკითხავდნენ რასმეს სტოლს, იგი კაკუნით გარკვეულ პასუხს იძლეოდა. ეს მოვლენა აკვირვებდა ყველას უფრო იმიტომ, რომ მედიუმი, მეტად კოხტა და მოხდენილი მანდილოსანი, ხელებს სხვას აჰერინებდა, ასე რომ ხელით ვერაფერს მოიქმედებდა. ამისდა მიუხედავად, ჩააქრობდნენ თუ არა ლამფას, სტოლის ქვეშიდან კაკუნი ისმოდა, ამასთან სწორედ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. ყველამ ირწმუნა ეს სასწაულებრივი მოვლენა. განსაკუთრებით მანდილოსანნი გაიტაცა. არაფერი მჯეროდა სპირატიზმისა, ამიტომ დასარწმუნებლად მეც მიმიწვიეს. მედიუმი ჩემსა და სხვა მეცნიერს შორის უძრავად იჯდა; ერთი ხელი მე მეჭირა, მეორე იმას. ცოტა ხანს შემდეგ გაისმა სტოლ ქვეშიდან ხმა-მაღალი კაკუნი. არ შეგვეძლო არ დავრწმუნებულიყავით, რომ მედიუმი უძრავად იყო. ამ გარემოებამ საშინლად გამაოცა. ვთხოვე, სეანსი გაემეორებინა, მაგრამ მანდილოსანმა უარი სთქვა, სულებთან მოლაპარაკებამ დამღალაო. სეანსი მეორე დღისთვის გადავდეთ. მანდილოსანი მეტად განათლებული, მიმზიდველი და მომჯადოებელი იყო, ამიტომ, ცოტა არ იყოს, მესიამოვნებოდა კიდეც იმასთან საღამოს გატარება. სამწუხაროდ, მეორე დღეს ჩემმა მოსწავლემ, ახალგაზდა ექიმმა, ამბავი მომიტანა, რომ მედიუმი ავად არის, ფეხი სტკივა, წევს და სეანსი ვერ მოხდება დღესაო. ამასთან დაუმატა, რომ ფეხს გარედან არაფერი ეტყობა, არც დასიებულია და არც დაწითლებულიო. სეანსი ძალიან მაინტერესებდა, ამიტომ შევეხვეწე ექიმს, წავეყვანე ავადმყოფის სანახავად. ვიყიდეთ ყვავილები და გავწიეთ. ავადმყოფს სახე ოდნავ გაყვითლებული და დაღლილი ჰქონდა, თუმცა მაჯა რიგზე უცემდა და ტემპერატურაც ნორმალური ჰქონდა. დავამშვიდე, თანაც იმედი გამოვსთქვი, მალე წამოდგებით ფეხზე და თქვენ სეანსს გვაჩვენებთ მეთქი... „თქვენც მორწმუნედ გაგხდითო“, მოულოდნელად მომიგო მანდილოსანმა. „დიახ, ნუ გეშინიანთ, დაიწყო

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1948.

*) მიქელ ანჯელო დიდებული მხატვარი, მექანდაკე, ხუროთ-მოძღვარი, ინჟენერი და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ყველა ამ ასპარეზზე იგი ერთნაირად შესანიშნავი იყო.

*) იქ შიფთან ერთად პროფესორად იყო მოლეშოტიც. მოლეშოტი და კარლ ფოხტი უკიდურეს მატერიალისტებად ითვლებიან.

ტის ზოგიერთი მუხლი უნდა შეიცვალოს, ზოგი კიდე სულაც ამოიშალოსო.

ასე რომ სასკოლო ბილი არც თუ კონსერვატორებს მოსწონებიათ. ლიბერალ-უნიონისტები ხომ უფრო უკმაყოფილონი არიან. მართალია, ჩემბერლენი დაჰპირდათ, ბილს შევცვლითო და ამით ცოტათი დაამშვიდა, მაგრამ თუ კოლონიების მინისტრი თავის მიმდევრებს დააკმაყოფილებს, სამაგიეროდ საეკლესიო პარტიას გადაიკიდებს.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 10 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ჰუსეინ-რაგიმ-ოღლისა, რომელსაც ჰბრალდება **კოსაკოვსკის ქალის მოკვლა** და ექიმის ვოინოს დაჭრა. პალატამ ამასთანავე ჰუსეინ-რაგიმ-ოღლის განცხადებაც უნდა განიხილოს. თავის განცხადებაში რაგიმ-ოღლი სწერს, რომ მკვლელობის ღამეს მე და კოსაკოვსკის ქალი სხვაგან ვიყავით. როდესაც დავბრუნდით და კოსაკოვსკის ქალი შინ შევიდა, ვოინომ ჩხუბი დაუწყო; ქალის ხმაზე შევედი და რაკი დავინახე, ვოინო ჰკლავდა, მივეშველე ქალს და ამ დროს დაიჭრა ვოინოო.

◆ გაზ. „ნოვოსტი“ გვატყობინებს, რომ მთავრობას საბოლოოდ გადაუწყვეტია **ბაქოში სამთო სასწავლებელი დაარსდეს.** წელსვე შეუდგებიან ამ სასწავლებლის შენობის აგებას ეგრედ წოდებულს „შავ ქალაქში“.

◆ სოფ. ყვარელში, 4 ოქტომბერს, დილის მეთერთმეტე საათის დასაწყისს **ისეთი მიწის ძვრა ყოფილა**, რომ ამის მაგვარის მომსწრენიც-კი არავინ არის. საშინელი გუგუნი გაისმა, მიწა რამდენჯერმე ზევით აიწია და მერე რყევა დაიწყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ; რამდენიმე სახლი დაინგრა, ბევრს კედლები დაუსქდა და ჭერი ჩამოსცვივდა. ძნელი ასაწერია პირველი შთაბეჭდილება: დანგრეულ კედლებისა და ჭერისაგან ოთახებში საშინელი მტვერი დადგა; ყველაფერი, რაც კედლებზე დაკიდული იყო, ან შკაფები ჭურჭელი—სულ ერთიანად ჩამოცვივდა ძირს; გასავალი კარები სხვა-და-სხვა საგნებით აივსო და გარედ გამქცევი ეცემოდა და ფეხებს იმტვრევდა. ხალხი ისე შეშინდა, რომ სახლებში ველარ შედიოდა: ოთხი ოქტომბრის ღამე მთელმა ყვარელმა გარედ გაათია. იმავე დღეს, საღამოს 7 საათსა და 10 წუთს კიდევ განმეორდა მიწის ძვრა, თუმცა უფრო სუსტად, მაგრამ გუგუნი მაინც გარკვევით ისმოდა. ღამის განმავლობაში ოთხჯერ იყო მიწის ძვრა. ეს მეორე შემთხვევაა აქეთ მიწის ძვრისა: ერთი იყო 20-დან 21-ს სექტემბრის ღამის 2 საათზე; იმავე ღამეს დილის 5 საათზე კიდევ განმეორდა, მაგრამ 4 ოქტომბრის მიწის ძვრა გაცილებით უფრო ძლიერი იყო. იოანნე ნათლის მცემლის ეკლესია ოთხ ადგილას გახეთქილა. კიდევ კარგიო—ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს კორესპონდენტი—რომ მიწის ძვრა დღისით იყო, თორემ უბედურება უთუოდ მოხდებოდაო.

◆ ოზურგეთიდან გვწერენ: „**ოზურგეთის მაზრის უფროსად** ბ-ნი ლაზარენკო გადაიყვანეს შორაპნის მაზრის უფროსად. ბ-ნი ლაზარენკო შვიდი წელიწადი მსახურობდა გურიაში. გურულებს კარგად იცნობდა; იცოდა, მათთან საქმე როგორ დაეჭირა. მთელი მაზრა მისი მადრიელი იყო“.

◆ ქალაქის გამგეობა ამ დღეებში უნდა შეუდგეს **ვერაზე** (სასწორთან) **ხორცის დუქნის** მოწყობას. ამ დუქნისათვის უნდა გადააკეთონ ქალაქის სახლი, თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ შენობა უნდა დაიქირავონ ოლგას ქუჩაზე.

◆ ხვალ, 11 ოქტომბერს, საბჭოს კომისია დაათვალიერებს ავლაბარში ადგილს **ხორცის დუქნის გასამართავად.**

◆ 12 ოქტომბრისათვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მიენდო ფინანსთა მინისტრის ამხანაგის მიერ შემუშავებულ პროექტის განხილვა. პროექტი შეეხება **პურის ვაჭრობის გაუმჯობესების საქმეს.**

◆ ხვალისათვის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია **კერძო კრება** მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებისა. კრებამ უნდა მოილაპარაკოს დამატებით არჩევნების შესახებ.

◆ სამშაბათს, 8 ოქტომბერს, მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და **ხორცის დუქნების გამგე კომისიისა.** სხვათა შორის, სხდომამ დაადგინა დუქნების მართვა-გამგეობა შემდეგისათვისაც მცირე კომისიას მიანდოს. კომისიის თავმჯდომარედ გამგეობის წევრი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილია, ხოლო წევრებად ი. ა. სულხანიშვილი და მ. ნ. ვესელოვზოროვი. შემდეგ სხდომამ განიხილა მოხსენება დუქნების მმართველის ალიხანოვისა, რომელიც ატყობინებს კომისიას, რომ ნაყიდი მყავს 1520 სული საკლავი საქონელი 42,000 მანეთადაო. ამ ფულში ალიხანოვს დუქნების შემოსავლიდან გადაუხდია 12,000 მან. და გადახდილ უნდა იქმნას 30,000 მან. სხდომამ გადასწყვიტა გადასდოს 10,000 მან., ხოლო დანარჩენი 20,000 მან. ნაწილ-ნაწილ გაისტუმროს. სხდომამ დაადგინა აცნობოს დუქნების მმართველს ალიხანოვს, რომ მცირე კომისიის თავმჯდომარის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დაუკითხავად აღარ შეუძლიან საქონელი იყიდოს.

◆ მკითხველებს ახსოვთ, რომ **თავ. ვაჩნაძე დუელში იყო** პოლკოვნიკ მაქსიმოვისაგან სასიკვდილოდ დაჭრილი და შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. ამ დანაშაულობისათვის მაქსიმოვს სასამართლომ მიუსაჯა ორი წლით საპყრობილეში დატუსაღება, მაგრამ ისიც დაადგინა, ვსთხოვოთ ხელმწიფე იმპერატორს დანაშაული სრულებით ეპატიოს, რადგან მაქსიმოვს არავითარი მიზეზი არ მიუცია დუელი მომხდარიყო და ყოველივე ღონე იხმარა დუელი არ მომხდარიყოო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება, სასამართლოს შუამდგომლობა შეიწყნარა და მაქსიმოვს ამ საქმეში ყოველივე დანაშაული ეპატივა.

◆ პარასკევს ახალციხეში მიდის განსაკუთრებული კომისია ტეხნიკოსებისა, რომელთაც უნდა დაათვალიერონ **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის** ახლად აგებული სახლები.

◆ 28 და 29 ოქტომბერს ქუთაისში იქნება სხდომები ტფილისის **სამოსამართლო პალატის სესსიისა;** სხვათა შორის, გაირჩევა ქუთაისის პოლიცმეისტერად ნამყოფის ბ-ნ სვიმონოვის საქმე.

◆ გუშინ ბაქოს წავიდა კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ბ-ნი რუგევიჩი. იქ, ამ დღეებში, მთაყარ-მართებლის საბჭოს წევრის ბ-ნ მიცკევიჩის თავმჯდომარეობით, განსაკუთრებულმა კომისიამ უნდა შეიმუშავოს ღონისძიებანი ნავთის ქარხნებში **ცეცხლის გაჩენის** წინააღმდეგ.

◆ გუშინ, 9 ოქტომბერს, **შულავერში გაემგზავრა** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია რამდენისამე საქმის განსახილველად. სესია შულავერში დარჩება 19 ოქტომბრამდე.

◆ კავკასიის გზათა უწყებამ რამდენისამე წლის წინად პარიზიდან გამოიწერა ქუჩების სატკეპნელი ორთქლმავალი მანქანები. როგორც აღმოჩნდა, მანქანები ჩვენში არ გამოდგა; მალე გაფუჭდა და შესაკეთებელი გახდა. ერთი მათგანი გუშინ მანგლისს უნდა გაეგზავნათ სამუშაოდ. მანქანა ბარიათინსკის აღმართზე ვერ ავიდა; მოსწყდა, მილეწა სამეურნეო საზოგადოების კიბე, დაამტვრია ტელეფონის ბოძები და სხვა. როგორც იქმნა, მანქანა აიყვანეს ლორის-მელიქოვის ქუჩით ერევნის მოედანზე. ეს გზა (ნახევარი ვერსი იქნება) მანქანამ დილის ცხრა საათიდან 1-ლამდე გაიარა. ნეტა როდის მიაღწევს მანგლისს, თუ ასე „სწრაფად“ იარა?!

◆ ქალაქის ბეითალმა აღმოაჩინა ჭირიანი ძროხები დუშეთის ქუჩაზე მიხაილოვის სახლში. დაწესდა კარანტინი და მიღებულ იქმნა ღონისძიებანი, რომ ჭირი არ გავრცელდეს.

◆ 7 ოქტომბერს ნავთლუხის ძველს გზაზედ ვილაც ბოროტ-გამზრახველს ხანჯლით მძიმედ დაუჭრია შულავერის მცხოვრები მიხეილ მათიაშვილი. მათიაშვილი მთვრალი ყოფილა და ვერ გაუგია, ვინ ყოფილა მისი დამჭრელი. პოლიციამ ბოლოს აღმოაჩინა ბოროტ-გამზრახველი; იგი ყოფილა ტფილისის მოქალაქე ნიკოლოოზ გუკასოვი, რომელიც გამოტყდა კიდეც.

◆ ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის უფროს მასწავლებელის ბ-ნ მატკოვსკის სახლში 7 ოქტომბერს შესულან ქურდები, რომელთაც მოუპარავთ 100 მან. ღირებული საათი და სხვა ნივთები.

◆ გამგეობამ გადასწყვიტა ქალაქის საკლავ საქონლისათვის თავის საწყობი გამართოს საყასბოსთან. ამისათვის გამგეობამ 1500 მანეთი გადასდო.

რუსეთის ქრონიკა

◆ რადგანაც რუსეთში დიდი მოთხოვნილებაა ისეთის კაცებისა, რომელთაც უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება მიუღიათ, ერობანი სთხოვენ მთავრობას გამრავლებულ იქმნეს უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელთა რიცხვი. ყაზანის საგუბერნიო ერობა, მაგალითად, შუამდგომლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ამ შუამდგომლობას მხარი დაუჭირა უფას ერობამ, იმ პირობით კი, რომ ქ. უფაში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნეს დაარსებული. უმაღლესს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას შუამდგომლობს აგრეთვე კურსკის საგუბერნიო ერობა. ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობა თხოულობს, რომ ნეჟინის საფილოლოგიო ინსტიტუტი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად გადაკეთდეს.

◆ ხერსონის ერობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი მიღებულ იქნენ

ახლა ექიმმა, ჩემი ავადმყოფი ხვალვე კარგად იქმნება. პირველი ხომ არ არის! თითქმის ყველა სეანსის შემდეგ ფეხი სტკივა, მაგრამ ისევე მალე ურჩება ხოლმე“. ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გამაოცა. მაშ, გავიფიქრე, სტოლის კაკუნსა და ფეხის ტკივილს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს ერთმანეთში; მაგრამ ფეხი რომ არ დაუტოკებია...

„— ნება მიბოძეთ, ფეხი გაგისინჯოთ,— მივმართე.

„ავადმყოფმა დიდი უარი განაცხადა; მაგრამ ყოყმანის შემდეგ ფეხი მაინც მაჩვენა, გავკვირდი, როდესაც იმის საღსა და მთელ ფეხს დავხედე. გამაკვირვა უფრო კუნთმა, რომელიც ქუსლს ზემოდ მცირედ გამობერილი იყო. სწორედ ეს ადგილი სტკიოდა, თუმცა არც წითელი იყო და არც დასიებული. ეხლა-კი დავრწმუნდი, რომ ავადმყოფობა ამ კუნთის გაჭიმვის შედეგი იყო. გამოცდილებით ვიცოდი, თუ კაცი გასჭიმავს და ძალას დაატანს ამ კუნთს, იგი ხმას გამოიღებს, სწორედ ისეთ ტკაცანს, როგორიც თითების მოგრეხის დროს ისმის, მხოლოდ უფრო მაღალსა და ძლიერს. შინ დაბრუნებისას მეცადინეობას შევუდექი და მალე ჩემის ქუსლის კუნთმა ისეთი კაკუნი დაიწყო, გეგონებოდათ, ჩაქუჩს უტყაპუნებენო. აბა, ყური დაუგდეთ“.

სთქვა ეს ფიზიოლოგიის პროფესორმა, მარჯვენა ფეხი შესდო სკამზე, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად, დაატოკა, და უზარმაზარ დარბაზში კაკუნის გარკვეული ხმა გაისმა. აუდიტორიაში ერთი ხმაურობა და ტაშის-ცემა ასტყდა. „Vive la science!“ გაისმოდა აქეთ-იქიდან.

„მეორე დღეს, განაგრძო პროფესორმა, ჩვენი ლამაზი მანდილოსანი თავისს სეანს შეუდგა. მაგრამ როდესაც კაკუნი მოისმა, მეორე მხრიდან მე ბანი მივეცი. თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ქალმა ხელად გააჩერა თავი კაკუნს და განაცხადა, სული გაჯავრებულია, და აღარ უნდა ლაპარაკიო. როდესაც ლამფა აანთეს, განვაცხადე, რომ გაჯავრებული სული ჩემი ფეხი იყო მეთქი; ამასთან იქვე საჯაროდ კაკუნი გავაბი. ოთახში მყოფთ პირი დაალეს და თვალები დააჭყიტეს. ჩვენი კოხტა მედიუმი იმავე საღამოს სადღაც გადაიკარგა და მას შემდეგ სულებთან აღარ გვისაუბრია“. ასე გაათავა პროფესორმა შიფმა. აი, ბატონებო, ასე ატყუებენ ხალხს. სწორედ ეს გაიძვერავე ვაჟბატონები და ქალბატონები ატყუებენ კრუკსა და ვალლას ლონდონში, ფლამარიონს პარიზში, ბუტლეროვსა და ვაგნერს პეტერბურგში“...

მოხუცი გაჩუმდა. ჩვენც გაჩუმებულნი ვისხედით. ნაამბობმა ყველანი გაგვაკვირვა. ჩემდა უნებურად გავიხსენე ის მეცნიერები და პროფესორები, რომელნიც ჯერ სპირიტებად მოაქციეს, ხოლო შემდეგ კათოლიკებად... მომაგონდა რაციონალისტთა სკოლის პუბლიცისტები და რომანისტები, რომელთაც ასეთივე მეტამორფოზა გამოსცადეს...

— თქვენ მიერ გადმოცემული ამბავი,— დაიწყო ისევ ახალგაზრდა ამერიკელმა—ნათლად ამტკიცებს, გაიძვერანი როგორის ოინბაზობით და ხრიკებით აცდენენ თვით განათლებულთაც-კი. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ უმეცარი ბრბო თაყვანსა სცემდეს პიგოტს, დევეის და სხვა „მესსია-წინასწარმეტყველს“, სწამდეს ამ ბრბოს იეზუიტების სასწაულები და სხვა!.. საკვირველი ამ შემთხვევაში „განათლებულ ველურთა“ ქარაფშუტობა როდია: სპენსერმა ტყუილად კი არა სთქვა, ჩვენი თაობა ხელ-ახლა ბარბაროსობას ეძლევაო (rebarbarisation); საკვირველი ის არის, რომ ცხოვრებაში ხელმეორედ ბატონობას იწყებს სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა, ცოდნისა და მეცნიერების დევნა. განა ესეთი ამბავი არ მოხდა საფრანგეთში დრეიფუსის საქმის დროს? განა ეხლა ასეთივე ამბავი არა ხდება ინგლისში? მაშ რასა ნიშნავს ბრძოლა სახალხო განათლების წინააღმდეგ? საიდან ან როგორ გაჩნდა ეს ძალა, ერთხელ უკვე დამარცხებული და მიწასთან გასწორებული?.. იეზუიტები და გაიძვერა-ოინბაზები დამხობას უქადიან ცივილიზაციას და სცდილობენ შუა საუკუნოების წყვდიადისა და სიბნელის გამეფებას...

— არა, არც მაგდენად საშიშია იეზუიტების ხრიკები,—მიუგო ხნიერმა ინგლისელმა.—მართალია, კლერიკალებმა საზოგადოდ და იეზუიტებმა კერძოდ ხელთ ჩაიგდეს დაბალი და საშუალო სკოლა, „სასწაულებით“ გზა-კვალი აუბნიეს უმეცართ, მაგრამ ყოველივე ეს წარმავალია. საზოგადოება უკვე მიჰხვდა განსაცდელს. საფრანგეთსა და ინგლისში ბრძოლა დაიწყო. საფრანგეთში კიდეც ააფრიალეს გამარჯვების დროშა. ხოლო ჩვენში აგიტაცია სასკოლო რეფორმის გამო დღითი-დღე იზრდება. არა, იეზუიტებისა მე არ მეშინიან. საშიშოა ყალბი მეცნიერება იმ იურისტებისა და მეტაფიზიკოსებისა, რომელთაც გადაასხვაფერეს სამეცნიერო და საპოლიტიკო ტერმინოლოგია და გზა-კვალი აუბნიეს საზოგადოებრივ აზროვნებას.

— ვისა გულისხმობთ?—ჰკითხა დიასახლისმა.

— აიღეთ თუ გინდ იგივ ბერტილიონი, რომელიც მეცნიერების სახელით ამტკიცებდა, რომ დრეიფუსმა დასწერა ის, რაც ესტერგაზის თავისად მიაჩნდა. ამ მოხელე-მეცნიერმა სხვა-და-სხვა ტერმინებით ყურები გამოუჭედა ხალხს. ყველაფერი ამოალაგა თავისს გულიდან: ბატონ ლომბროზოს „თანდაყოლილი, მემკვიდრეობითი ტიპი დანაშაულობისაც“ ანტროპოლოგიური ტიპიც და სხვაც. ამ ყალბმა მეცნიერებამ ფეხზე წამოაყენა შუა საუკუნოების ცრუ-მორწმუნეობა თან დაყოლილ ცოდვის შესახებ. ხომ ამტკიცებენ ეს ვაჟბატონები, რომ ზოგი კაცი დაბადებითვე ბოროტია, ზოგი კიდევ კეთილიო. შუა საუკუნოების ღვთის-მეტყველნიც ამ რიგადვე სწერდნენ, ისინიც ამტკიცებდნენ, ზოგი კაცი დაბადებითვე მადლიანია, რჩეული, ზოგი კიდევ ბოროტი, გვემული. ახალმა სკოლამ დამნაშავეთა რიცხვში მოაქცია *) ისეთი გმირნი, როგორიც მაძინია. ამ რიგად, დამნაშავენი და ბოროტნი ყოფილან მაძინი, ჯონ ბროუნი, გარიბალდი და სხვანი, რომელთა წინაშეც მადლიერი კაცობრიობა მუხლს იდრეკს... აი სადამდე მივიდა ყალბი და ცრუ მეცნიერება!.. საშიშია შემდეგიც: მეცნიერებისავე სახელით დაარწმუნეს ხალხი, რომ ნამდვილი მეცნიერება მეტაფიზიკა და დიალექტიკაა, რომ ლამარკმა და ლაპლასმა, დარვინმა და სპენსერმა, ჰელმჰოლცმა და ჰეკელმა კი არ შეჰქმნეს თანამედროვე ფილოსოფია მონიზმისა, არამედ შელლინგმა, ჰეგელმა და გიზომაო. საშიშია ის, რომ ველარ გაურჩევიათ ნამდვილი მეცნიერება მეტაფიზიკისაგან, პროგრესი ცრუ-მორწმუნეობისაგან... თორემ იეზუიტებსა და კლერიკალებს გაუმკლავდებით; გამოვგლეჯავთ სკოლას ხელიდან და ძირიანად შევცვლით ხალხის აზრ-შეხედულებას. არ გაივლის დიდი დრო, რომ ეხლანდელ მესსიებსა და წინასწარმეტყველებს ნამდვილის ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა მოჰყვება... ვიმეორებ, იეზუიტებს გაუმკლავდებით; ცრუ-მეცნიერებისაკი რა მოგახსენოთ...

— მაგათაც გაუმკლავდებით! —რწმენით წარმოსთქვა ახალგაზრდა ამერიკელმა.

ლონდონელი

---

*) მაგ. პროფესორმა ფერრმა.

მნენ ხოლმე საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტზე.

◆ ხარკოვში არსებობს მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოება. მთავრობამ ნება დართო ამ საზოგადოებას გამართოს უნივერსიტეტთან საჯარო ლექციები ქალებისათვის. ლექციების კითხვა 7 ოქტომბერს უნდა დაეწყოთ. კურსები ორ სემესტრად იქნება—შემოდგომისა და გაზაფხულის. კურსების პროგრამაში შემდეგი საგნებია შეტანილი: რუსეთის ისტორია, რუსული სიტყვიერება, საბერძნეთის ისტორია, ლოღიკა, ფსიხოლოგია, ფიზიოლოგია, პედაგოგიის ისტორია და ჰიგიენა. ლექციებს წაიკითხავენ პროფესორები: ზელენოგორსკი, ორშანსკი, სავვა, ბუზესკული, ოსტროუმოვი, ჩუევსკი, კოლდუბოვსკი და ექიმი-ქალი დრენტელნი.

◆ როგორც ვუწყით, ზაფხულობით ცეცხლისაგან ბევრი სოფელი ზარალობს რუსეთში. ისე დღე არ ჩაივლის, სადმე ცეცხლი არ გაჩნდეს და ათი, ოცი, ხშირად ასი სახლი არ გადაბუგოს. კარგა ხანია ამ ბოროტებასთან ბრძოლას შეუდგნენ, მაგრამ დღემდე ვერაფერი გააწყეს. ეხლა უნდათ სოფელში რკინის სახურავები გაავრცელონ. ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბანკმა ფული გადასდოს გლეხთათვის დასარიგებლად. ამ ფულით გლეხები თავიანთ სახლებს რკინით გადახურავენ.

◆ ფინანსთა სამინისტროს განუზრახავს გააწეს-რიგოს შაქრის ნაწარმოებისა და მრეწველობის საქმე. ამ აზრით სამინისტრო ახალ წესებს ადგენს.

◆ ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მოკლე-ვადიანი სესხი მოეწყოს მატყლზე გასაცემად.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტრო სტიპენდიებს აწესებს საბეითალო ინსტიტუტებში. სულ ვარშავისა, ხარკოვისა, ყაზანისა და იურიევის ინსტიტუტებში ამ სამინისტროს 1903 წლის პირველ იანვრიდან 40 სტიპენდია ექნება, თითო 360 მანეთიანი. სამინისტროს ბევრი ბეითალი სჭირია, ხოლო ბეითალთა რიცხვი საზოგადოდ მცირეა. სამინისტროს სტიპენდიანტმა გათავების შემდეგ ექვსი წელიწადი უნდა იმსახუროს სამინისტროს უწყებაში.

◆ ბოლგარიის მთავრობამ რუსეთიდან 15 ბეითალი მიიწვია. აქედან ცხრამ ჯარში უნდა იმსახუროს, ხოლო ექვსმა—ხალხისათვის. თვითო ბეითალს წელიწადში მიეცემა 4800 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

8 ოქტომბერს კრებამ განაგრძო იმ პროგრამის განხილვა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებებს შეეხება. თავმჯდომარემ წაიკითხა მოხსენება ტფილისის მაზრის უფროსის თავ. დ. ჯანდიერისა. მოხსენება შეეხება ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლას, საკუთრების დაცვას, ტყის შენახვას და სხვას. მომხსენებელი დიდ ყურადღებას აქცევს სხვის საკუთრების მითვისებას. თუმცა ადგილ-მამული ბევრგან გაიმიჯნა, მაგრამ სხვის მიწებს მაინც ითვისებენ. სასამართლოში სიარული გლეხს ძალიან უჭირს და ძვირადაც უჯდება.

თავ. ჯანდიერის აზრით, საჭიროა ბოროტ-მომქმედი უმალვე, ამასთან ადგილობრივვე ისჯებოდეს, რომ ასეთმა სასჯელმა სხვებიც დააშინოს. დღეს ასე არ არის. გლეხის უბრალო საჩივარი მთელის წლობით სწარმოებს ხოლმე. ხშირად მართალი კაცი იძულებული ხდება სამაგიერო გადაუხადოს მეზობელს, დაუწვას სახლი და გაჰქურდოს. ბოროტ-მოქმედების მოსასპობად, მომხსენებლის აზრით, ადმინისტრაციას უფლება უნდა მიეცეს წვრილმანი საქმეები განიხილოს და დამნაშავენი დასაჯოს. კარგად ვიცნობ, სწერს ჯანდიერი, ოთხს მაზრას—თელავისა, სიღნაღისა, ტფილისისა და ბორჩალოსას, სადაც 18 წელიწადი ვმსახურებ, და შემიძლიან დავარწმუნო ყველანი, რომ ამ მაზრების მცხოვრებთა 40 პროცენტს ქურდობა და ავაზაკობა ისე აქვს შესისხლხორცებული, რომ დღე არ გავა, რომელიმე სოფელში ცხენები არ მოიპარონ, ვენახები არ გაჩეხონ, თივები არ დასწვან და სხვ. ბოროტ-მოქმედება მხოლოდ მაშინ მოისპობა და კულტურაც გზას მაშინ გაიკაფავს, როდესაც საქმე სულ სხვა რიგად მოეწყობა, როდესაც თვით მცხოვრებნი პასუხის მგებელნი იქმნებიან. სოფელში ხშირად ბევრმა იცის ქურდის ვინაობა, მაგრამ არ ამხელენ, რადგანაც ეშინიანთ ქურდისა; ამის გამო ქურდი დაუსჯელი რჩება. როცა სოფელში გლეხს რაიმე უბედურება მოუვა, ამ უბედურების პასუხის მგებელი, თავ. ჯანდიერის აზრით, უნდა იყოს მთელი სოფელი, ზარალი იმან უნდა გადაიხადოს, ისე კი, რომ ბოროტ-კაცობაში საეჭვო პირებს მეტი გადასახადი შეეწეროს. ამის შემდეგ სოფელი თავს გამოიდებს და ბოროტ-მოქმედს ვეღარ დამალავს.

თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო ეს ვრცელი მოხსენება გადასცეს იურიდიულს საზოგადოებას. ზოგმა განაცხადა, დაებეჭდათ მოხსენება და დაეგზავნათ წევრებისათვის, რომ შემდეგ კრებაზე თავიანთი მოსაზრებანი გამოეთქვათ. ვიდრე ამის შესახებ კრება გადასწყვეტდა რამეს, თავ. ჯანდიერის მინდობილებით ერთმა დამსწრემ განაცხადა, რომ ჯანდიერი ავადმყოფობისა გამო ვერ ესწრება კრებასო და თხოულობს მოხსენება უიმისოდ არ განეხილათ.

კრებამ უკვე გაათავა პროგრამის მუხლების განხილვა. კამათი გამოიწვია მე-25 მუხლმა, სადაც აღნიშნულია, რომ სოფლის საზოგადოებებმა გამოიღონ ფული იმ მცხოვრებთა დასახმარებლად, რომელნიც ადგილების სივიწროვისა გამო სხვაგან მოინდომებენ გადასახლებას. ზოგიერთმა წევრმა კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კავკასიის ზოგიერთი ადგილები, განსაკუთრებით იმერეთი (მაგ. ლეჩხუმი, რაჭა და შორაპნის მაზრა) მეტად მჭიდროდ არის დასახლებული; ადგილობრივ მცხოვრებთ მიწის სიმცირისა გამო ნახევარის წლის სარჩოც ვერ მოჰყავთ. ამიტომ უმჯობესია, რუსეთიდან გადმოსახლებას თავი გაანებონ და თავისუფალ ადგილებზე აქაურივე მკვიდრნი დაასახლონ.

ა. ბ. ევანგულოვმა განაცხადა, მიწათ-მოქმედების სამინისტრო სახელმწიფო ადგილებს კავკასიაში უთმობს რუსს გლეხობას მაშინ, როდესაც ადგილობრივ ბუნება მათთვის მავნებელია. აქაური მცხოვრებნი-კი ამ ადგილებს მშვენივრად გამოიყენებენ. ამიტომ შუამდგომლობა აღეძრათ, რომ მიეცეს ადგილობრივ მცხოვრებთ თავისუფალი ადგილებიო.

ამ საქმის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო მოხსენების განხილვამდე. შემდეგი კრება მოხდება პარასკევს, 11 ოქტომბერს.

თეატრი

დღეს, 10 ოქტომბერს, ქართულ თეატრში პირველი გასტროლია ნინო ჩხეიძისა. ამის მონაწილეობით წარმოადგენენ „უბედურ ნაბიჯს“, სამ მოქმედებიან დრამას და კომედიას „კვალ და კვალ“-ს. ნ. ჩხეიძე ამ პიესაში უმთავრეს როლს საუცხოვოდ ასრულებს. ნ. ჩხეიძის გარდა მონაწილეობას იღებენ ჩერქეზიშვილისა, კ. მესხი, გუნია და სხვ.ნი.

—

ქუთაისი. კვირას, 6 ოქტომბერს, ქუთაისის თეატრში, ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა მელვილის სამ-მოქმედებიანი დრამა „სიყვარული და სარწმუნოება“. ამ წარმოდგენაში რომ ბ-ნ მესხიშვილს არ მიეღო მონაწილეობა, რომელმაც თავისის როლის (სიელივან არტისტი) ჩინებულად ჩატარებით ყველანი ჩაწრდილა, ქ-ნ მდივანსა და ბ-ნ იმედაშვილს ერგებოდათ დაფნის გვირგვინები; იმათ მოხდენილის თამაშობით მიიქციეს საზოგადოების ყურადღება და არა ერთ გზის დაჯილდოვებულ იქმნენ ტაშის ცემით. არა უშავდა ბ-ნ ბოჭორიშვილსაც ენა ბლუ მისტერ პიკოვის როლში, რომ სცენაზე თვითონვე არ დაეწყო სიცილი, ხოლო მისტერ სონდერთან (მირიანაშვილი) ბანქოს თამაშობის დროს სრულიად არ გადავიწყებოდა მისტერ პიკოვის ენაბლუობა და სხაპა-სხუპით არ დაეწყო ჩურჩული. დამაზად ეძინა უზომოზე მთვრალს მისტერ მერვინს (თუთბერიძე), მაგრამ გამოღვიძების დროს მთლად გადაავიწყდა თავისი სიმთვრალე. არც სხვებს შეუშლია ხელი წარმოდგენისათვის, გარდა ბ-ნ ურუშაძისა, რომლის ძალდატანებული თამაშობა, ნამეტურ უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც კარებს უჩვენებენ,—ნამდვილი წამება იყო ყველა მაყურებლებისათვის.

დასასრულ წარმოადგინეს პ. უმიკაშვილის ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „ბენეფისის წინ“, სადაც ქ-ნმა ტასო აბაშიძემ კარგად დაგვიხატა მოსწავლე გოგონას როლი.

ხალხი ცოტა დაესწრო წარმოდგენას.

დონ-ვალიანი

—

შაბათს, 12 ოქტომბერს, რკინის გზის სახელოსნოების თეატრში, არტისტების ბ-ნ გუნიასა და შათირიშვილის დახმარებით, ქართულის სახალხო სცენის მოყვარენი წარმოადგენენ 4 მოქმედებიან დრამას „დამნაშავეა“ და დ. კეზელის სცენებს „მირიჟოი სუდიასთან“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოქტომბერი

პეტერბურგი. პალესტინის საზოგადოებამ დროებით შეაჩერა მლოცველებზე წიგნაკების მიცემა.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ 7 ოქტომბერს საღამოს 9 საათსა და 5 წუთს ვარშავის რკინის გზაზე სწრაფი მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა; ბაგაჟის კონდუქტორი იგნატევი მოკვდა, დაიჭრნენ: მგზავრი შილინი, კონდუქტორი კუდრავცევი, ცეცხლის შემკეთებელი ვენცკოვიჩი და მემანქანის თანაშემწე პორაზინსკი. მატარებლის გადავარდნის მიზეზი ის ყოფილა, რომ ბოროტ-განმზრახველთ ორი საჟენის მანძილზე რელსების დასამაგრებელი ჭახრაკები დაუხსნიათ. მგზავრები დღეს 12 საათსა და 40 წუთს დილით პეტერბურგს მოიყვანეს.

ეკატერინოსლავი. საბჭომ 90 ათასი მანეთი გადასდო სასანიტარო საშუალებათა მისაღებად. სასანიტარო ექიმების რიცხვს უნდა მოუმატონ, უნდა გაჰმართონ ქალაქისათვის სასანიტარო ეტლები და ეზო-კარმიდამოების გაწმენდა-გასუფთავებას და ვირ-თაგვების მოსპობას ჩქარა უნდა შეუდგნენ.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი ბოგენი დეპეშით იტყობინება, რომ ვიქტორიასთან ბრძოლას არაფერი არ მოჰყოლია.

ლონდონი. „სტანდარდ“-ს პეკინიდან ატყობინებენ, რომ ინგლისის ოთხ გემს ბრძანება მისვლია ხანკოუში წადითო. ეს ბრძანება გამოუწვევია ხუნანში ინგლისელ მისიონერთა მოკვლას.

ბელგრადი. დედოფლის ძმა ვითომ მემკვიდრედ უნდა გამოცხადდესო—ტყუილი ხმებია.

ტულა. სიზრანო-ვიაზემსკის რკინის გზის სადგურ ალექსინზე ხის სახლი დაიქცა. ხუთი მუშა მძიმედ დაიჭრა.

სარატოვი. საგუბერნიო ერობამ პირველი ქარხანა გაჰმართა შინა-მრეწველ მეტყავეთათვის.

9 ოქტომბერი

ბერლინი. გაზეთი „ნორდდაიჩე ცაიტუნგ“ იტყობინება, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა აზრით, უცხოელებმა ერთ და იმავე დროს უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები მანჯურიიდან; თუ რომელიმე სახელმწიფო კვლავ ჩააყენებს ჯარს მანჯურიაში, იგივე უფლება სხვა სახელმწიფოთაც უნდა მიენიჭოს.

გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა ჩინეთს, არც ერთ სახელმწიფოს არ მისცეს სამხედრო ან სხვა რომ უპირატესობა ანცზეს მიდამოებში; ჩინეთმა ამაზე თანხმობა გამოაცხადა.

კიევი. მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო „პეტერბურგ. გაზეთა“-ს ცალკე ნომრობით გაყიდვისა.—მინისტრთა კომიტეტის საქმეთა მწარმოებელი სტატს-სეკრეტარი კულომზინი შეუდგა თავისს თანამდებობის ასრულებას.—„ნოვოსტ.“-ს ატყობინებენ, რომ 8 ოქტომბერს ღამით სადგურ ტაიცზე საქონლის მატარებელს უბედურება შეემთხვა. ადამიანი არ დაშავებულა.

რიაზანი. თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ დაადგინა გახსნას პანსიონი თავად-აზნაურთა შვილებისათვის.

ტანჟერი. ფეცში მოჰკლეს ინგლისელი მისიონერი. მკვლელი სულთანის ბრძანებით დახვრიტეს.

სოფია. გაზეთი „რეფორმა“ უარჰყოფს ოსმალეთიდან მოსულ ამბავს, ვითომც პოლკოვნიკი იანკოვი დაჭრილი იყოს, მონასტირის ვილაიეტში ოსმალეთის ჯარები მეტის-მეტ სასტიკობას იჩენენ. ბულგარიის ჯარები, რომელნიც საზღვარს იცავენ, დაბანაკეს სამოკოვს, დუბნიცას და კიუსტენდილში.

ფლორენცია. აკურთხეს რუსულ ახალ ეკკლესიის აკლდამა.

ბერლინი. რეიხსტაგში კანცლერმა აღნიშნა, რომ მთავრობა სახელმწიფოებს არაფერს დაჰპირებია სადამოჟნო ბაჟის შესახებ. მთავრობა გრნობს, რომ არ შეუძლია ვისმეს შეეკრას სავაჭრო ხელშეკრულობით, თუ უმცირესი ბაჟები არ იქმნება დაწესებული. რეიხსტაგმა 187 ხმით წინააღმდეგ 152-სა მიიღო კომისიის წინადადება, რომ ჭვავზე დაწესებული იქმნას უმცირესი ბაჟი $5^1/_2$ მარკა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი. ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43) წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 იმგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკეობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ქუთაისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამით 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 წ. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 ს). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—11)

ზოგ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი**.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

ახალი წიგნი
ფიზიოლოგია
დ-რი ფოსტერისა
სურათებით
ფასი 25 კ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ცინკოგრაფია
წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Октября, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).